ლიწადი პირველი.

ფასი თბ—ში 5 კაპ.
პროვინციაში—6 კაპ.

# ხარიშხალი

№ 1. კვირა, 22 ივლისი 1907 წ. № 1.

**შინაარსი:** 1) პროფესიონალური ორგანიზაცია რევოლიუციები.—2) ფელეტონი: ძირითადი საფუ-ლები სინდიკალიზმისა.—3 სოც-ფედერალასტური ლემი, მარქსისტული და ანარქისტული ჭიანჭველა, რალი უდაბნოში და უქმროთ დაბერებულ ქალწუ-თა გალობა ვაი-ვაი-ვაის ხმაზე. 4 უკბილოთა კბენა-და უგუნურთა მსჯელობანი.

## პროფესიონალური ორგანიზაცია და რევოლ-უციები.

საფრანგეთის დიდი რევოლიუცია ანუ ერჟუაზიის მიერ სახელმწიფო ძალის ხელში გდება იყო ბატონობის ერთი ხელიდგან ორე ხელში გ-დასვლა, მაგრამ მიუხედავად ისა, ის შესრულებულ იქმნა პროლეტარია-ს დახმარებით. ეს დახმარება შედეგი იყო მოდენიმედ იმისი, რომ მესამე წოდებას ითაც სწამდა და სხვებსაც არწმუნე'და იმა-, რომ ბურჟუაზიის განთავისუფლება ფეო-ლურ და მონარქიულ უღლისაგან იყო ელი ხალხის განთავისუფლება. მაგრამ იმავე მში, როდესაც ბურჟუაზიული დროშა აფ-იალდა ფეოდალური დროშის ადგილზე, მა-ინვე აეხილა ბურჟუაზიას თვალები და დაი-ხა, რომ მას და ხალხს შორის, მისი ინტე-ესების და ხალხის ინტერესების შორის უფრო იდი უფსკრულია ვინემ მათ და მათ მიერ ამარცხებული ფეოდალების შორის იმათ იერ კარგათ დაინახეს პრაქტიკისაგან, რომ თი კეთილ-დღეობა და წარმატება დამოკი-ებული იყო პროლეტარიატის ჩაგვრაზე და ქვეითებაზე. პროლეტარიატმა. კი თავისი, რით დაინახა თავისი მდგომარეობა, მაგრამ ოლოდ ცალი თვალით იმას კიდევ ეგონა, ომ მისი კეთილ დღეობა, წარმატება შესაძ-ლებელი იყო, თუ მთლათ არა რამოდენიმე, დ მაინც, თავის ბატონების თანამშრომლობით და დახმარებით.

მაგრამ მიუხედავად მეცადინეობისა ბა-ტონების მხრით, პროლეტარიატმა მეორე თვალიც გამოახილა და სულ მთლათ, სავსე-ბით გამოერკვია სოციალური ჰიპოტეზეიდგან. მისთვის დიდი რევოლიუცია ბურჟუაზიული იყო როგორც თვით ბურჟუაზიისთვის; ამას-თანავე ის პოლიტიკური იყო სწორედ ისე, როგორც ბურჟუაზიისთვის, რადგან მისი არა პირდაპირი ბატონების მაგიერ მისი პირდა-პირი ბატონები უნდა გაბატონებულიყვნენ და ამ გაბატონებისაგან გამოელოდნენ თავის მდგომარეობის გაუმჯობესებას.

შემდეგ სოციალურ განვითარებამ იმ ურთიერთობისა, რომელიც არსებობდა მას და მისი პირდაპირი ბატონების შორის, ის უფრო და უფრო დაარწმუნა წინაალმდეგში და დაუ-კარგა იმედი თავის განთავისუფლებისა ბატო-ნების ცვლის და დახმარების საშვალებით—ის თან და თან დაშორდა პოლიტიკას.

საფრანგეთში პროლეტარიატმა სამჯერ სცადა თავის განთავისუფლება, მაგრამ სამივე-ჯერ დამარცხებული შეიქმნა. მით უფრო მე-ტად რწმუნდებოდა პროლეტარიატი პოლი-ტიკური საშვალების უვარგისობაში, რამო-დენად მრავლდებოდა მისი დამარცხება.

**1871** წ. პარიზის კომუნის დამარცხებას-თან ერთად დამთავრდა პროლეტარიატის პო-ლიტიკური საშვალებით თავის განთავისუფ-ლების შესაძლებლობის რწმენის რზდა და იწყო ზრდა მისმა პოლიტიკურმა ურწმუნოებამ პოლიტიკურმა ატეიზმა.

ქართველო[ბის] პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
Библиотека

პარიზის კომუნის შემდგომ მუშიბი აღარ ფიქრობდენ პოლიტიკაზე. მათ პოლიტიკა მოსძულდათ იმოდენათ, რამოდენად დაინახეს, რომ პოლიტიკური ბრძოლა და მათი პოლიტიკური ორგანიზაცია უნაყოფო გამოდგა მათი განთავისუფლებისათვის. ცნობილია, რომ რამოდენიმე გაფიცვები კომუნის შემდეგ სწორედ იმ დროს მოხდა, როდესაც ჯერ კიდევ უკიდურესი რეპრესების ხანა იყო, რეპრესიების, რომლებიც კომუნის დამარცხებას მოჰყვნენ. 1871 წ. ივლისში მოხდა პარიზის მეეტლების გაფიცვა. იმავე წელს გიორგობისთვეში გაიფიცნენ პალე-რუაიალის იუველირები. შემდეგ მოჰყვა გაფიცვები სენტ-ეტიენში, კასტრაში, ქვანახშირის მაღაროების მუშების გაფიცვა ბრასაკში, გაფიცვები რონშანში, სენ-ფლო-რიანში.

ეს გაფიცვები ტიერმა ჩააქრო კანიბალური სიმხეცით, რადგან ეს მისთვის ძლიერ საჭირო იყო კონტრიბუციის გადასახდელი ფულის სასესხებლად.

ამიტომ მუშებმა დაინახეს საჭიროდ დროებით შეჩერება გაფიცვებისა და ხელი მიჰყვეს სინდიკალური ორგანიზაციების პროფესიონალური კავშირების გამრავლებას და მოწყობას იმ წესით, რომელსაც ბრძოლის ახალი გარემოება მოითხოვდა.

თუ რუსეთის რევოლიუციას დავაკვირდებით დავინახავთ, რომ ამ რევოლიუციასაც სწორედ ისე მოჰყვა პროფესიონალური ორგანიზაციების ზრდა და განვითარება, როგორც პარიზის კომუნას.

მხოლოდ პროფესიონალურ მოძრაობას რუსეთში, მოჰყვა გამრავლება მისი პარაზიტებისაც: არ არის ისეთი პოლიტიკური პარტია არც ერთი კლასი, მთავრობა და სხვა პოლიტიკური პარტიები, ბურჟუაზია და ფეოდალიზმის უკანასკნელი მოღიკანები, ერთი სიტყვით, არც ერთი საზოგადოებრივი ელემენტები, რომლებიც თავისკენ არ ეწევოდეს პროფესიონალურ მოძრაობას და არ ცდილობდეს თავის უღელში შებმას პროლეტარიატისას თავის და არა პროლეტარიატის ინტერესების დასაცავად' თავის პოლიტიკური ყანის დახნას და განოყიერებას პროლეტარიატის კისრით და სისხლით.

ყოველი მათგანი თავიანთ „ბუტკაში“ იწვევს და ერეკება საარჩევნო ყუთისკენ, როგორც კერძო მომხრეებს, ისე პროფესიონალურ კავშირებს.

ყოველი მათგანი ცდილობს ზურგი გაუმაგროს თავის პოლიტიკურ ვაჭრობას, თავისმოღვაწეობას პარლამენტში, „Заведенiи для реторическихъ упражненiй.“

---

## სოც-ფედერალისტური აქლემი, მარქსისტული და ანარქისტული ჭიანჭველა, მწერალი უდაბნოში და უქმროთ დაბერებულ ქალწულთა გალობა ვაი-ვაი-ვაის ხმაზე.

**კრიტიკა** მეცნიერული, რასაკვირველია, წარმოადგენს **რიცხვითი** და თვისებითი ანალიზს საგნისას, რომელიც გათვალისწინებულია **პირდაპირი განხილვით** და არა **გადმოცემით**, რეკომენდაციით.

**კრიტიკა რიცხვითი** ანალიზია, როგორც ქიმიური **რიცხვითი** ანალიზი, რადგან **კრიტიკის** საქმე **დაფასება, აწონვაა** იმ საგნისა, **ცოდნისა,** რომელსაც ის **ეჭვის** თვალით უყურებს და ცდილობს გამოარკვიოს მისი **ადგილი ცოდნათა** სალაროში, სწორედ ისე, როგორც ქიმიური **რიცხვითი** ანალიზი წარმოადგენს **წონითი** ურთიერთობას გასარჩევ რთული სხეულისა.

**კრიტიკა თვისებითი** ანალიზია აგრეთვე, როგორც ქიმიური **თვისებითი** ანალიზი, რადგან **კრიტიკის** საქმე შესდგება იმ **თვისებების** გარჩევაში, რომელნიც ახასიათებენ საგნის **ელემენტებს**, განსაკუთრებულ ცოდნის **ძირითად საფუძვლებს**, რომელთა მეცნიერული თვისება მისთვის საეჭვოა სწორედ ისე, როგორც ქიმიური **თვისებითი** ანალიზი წარმოადგენს გარჩევას იმ ელემენტებისას, რომლებიც შედიან იმ რთულ **სხეულში,** რომელზედაც მას ეჭვი აქვს და **სურს** შეიდგინოს განსაზღვრული აზრი.

საუბედუროდ **განმათავისუფლებელ** მოძრაობისა კაცობრიობაში საერთოდ და კერძოთ, მაგრამ **განსაკუთრებით** ქართულ ლი-

ტერატურაში ძლიერ იშვიათად ემსახურებიან ამ გვარ შეხედულებას **კრიტიკის** საქმეში.

თუ ვისმეს **ჩვენში განსაკუთრებით** ალეძრა მადა პატივ-მოყვარეობისა და გადხა ფეხმძიმე **სახელის** მახვეჭით, მაშინ არ **ზოგავს** არაფერს და სავსებით სარგებლობს პასუხის უგებლობით ქართული აუდიტორიის **წინაშე**, აუდიტორიის, რომელიც მოკლებულია ყოველ ავდიციას, სმენას განსაკუთრებულ დარგში ცოდნისა, და **ურცხვად** სწიხლავს კრილოვის არაკის ოთხფეხი გმირივით იმ ლომს, რომელსაც ჩვენში ჯერ ძლიერ ნაკლებად უზარტყია და თუ რამოდენიმედ მაინც მოიპოვება ჩვენში ასეთი ლომის ლეკვიბი ძუ გინა ხვადია, მიუხედავად ამისა ისინი სარგებლობენ თავიანთი უვიცობის უფლებით და მოპირდაპირეთა ცოდნის უუფლებობით და **თავხედათ** ურცხვად ავრცელებენ მეცნიერულ და არა მეცნიერულ ჭორებს **სწორედ** იმათზე, რომლებთან ბრძოლაში მომავალში მათ თავიანთი ყოველ სიფაქიზეს მოკლებული სული უნდა ამოხდეთ.

ამ ვაჟბატონებისთვის **კრიტიკა** ქრონიკიორის ხელობა შეიქმნა. მათთვის სრულიადაც საჭირო არ არის **პირდაპირი** გაცნობა ძირითად საფუძვლებთან ძირითად ნაშრომებში, რომლების **კრიტიკასაც** ჰკისრულობენ. ეს გონებრივი ყმაწვილები და მოქმედებით ბებრები საკმაოთ სთვლიან მოისმინონ ან ზღაპარი აფრიკაში გამოჩენილ ცხრათავიან ჯვულაშაპის თაობაზე, ან **გადმოცემა** რაღაც სოციალურ სექტაზე, სოციალურ მწვალებლებზე თავიანთი ან მეზობელი გვარის წმინდანების ან ამ წმინდანების ნაწერებიდგან.

რუსეთში და ყველა იმ ერებში, რომლებიც შედიან რუსეთის თვითმპყრობელობის ფარგალში, ძლიერ გამარჯვებულ მოძრაობას „საზოგადოების“ „დაბალ“ სფეროში მოჰყვა დამფრთხალ ბურჟუაზიის და მისი დამქაშების მიერ აყოლა იმ ფეხის ხმაზე, რომელიც მათ მოესმათ შრომის ქირის ჯოჯოხეთში ამტყდარ ხმაურობაში; მაგრამ ვინაიდგან რუსეთის რევოლიუციამ თავი იმიტომ კი არ იჩინა, რომ თვით საზოგადოებაში რევოლიუციის და საზოგადოების შინაგანი ძალების რევოლიუციონური ზრდა მივიდა იმ ზომამდე, რომ თვით ამოძრავდა დამოუკიდებლივ და მხოლოდ თავისი ზრდის გამო, არამედ ის **გამოწვეული** იყო **გარეშე** პროვოკატორული პირობების მიერ, პირობების, რომლებმაც სა-

# ფელიეტონი

—:—

## ძ ი რ ი თ ა დ ი  ს ა ფ უ ძ ვ ლ ე ბ ი.

წესი და საშვალება განმათავისუფლებელი მოძრაობის.

წესი და საშუალება პოლიტიკური მოძრაობისა.

თავისუფალი კავშირი ბრძოლის და შემოქმედების აწმყოში და მომავალში—სინდიკალიზმი და იძულებითი კავშირი ბრძოლის და შემოქმედების აწმყოში და მომავალში—პარლამენტარიზმი.

**მოვლენათა განვითარების წესი.**

ყოველი, რაც არსებობს, მოქმედებს და მოძრაობს; ყოველი, რაც მოქმედობს და მოძრაობს, არსებობს; ყოველი მოქმედება და მოძრაობა არის დაბრკოლების დაძლევა, წინააღმდეგ შემთხვევაში მოქმედება და მოძრაობა შეუძლებელი არიან. რაოდენად დაბრკოლება მეტი ან ნაკლებია, იმოდენად მოქმედება და მოძრაობა ნაკლები ან მეტია; რამოდენად მოქმედება და მოძრაობა მეტი ან ნაკლებია, იმოდენად დაბრკოლება ნაკლები ან მეტია. რადგან ის, რაც არსებობს, იმოდენად არსებობს, რამოდენადაც მოქმედებს და მოძრაობს, ამიტომ ყოველი არსებული ვითარდება, ევოლიუციაში არის იმოდენად, რამოდენად ვითარდება და ევოლიუციაში არის მისი მოქმედება და მოძრაობა;

ამ გვარად ხასიათი და ხარისხი არსებობისა შეეფერება მის მოქმედების და მოძრაობის ხასიათს და ხარისხს. თუ არსებობა იმავე დროს მოქმედება და მოძრაობაა და თუ მოქმედება და მოძრაობა მხოლოდ დაბრკოლების დაძლევით შეიძლება, მაშინ მოქმედება სწარმოებს უმცირესი დაბრკოლების წრეში და მოძრაობა სწარმოებს უმცირესი დაბრკოლებისაკენ. მოქმედება უმცირესად დამაბრკოლებელ წრეში და მოძრაობა უმცირესი დაბრკოლებისაკენ არის მოქმედების და მოძრაობის თავისუფლება; მაშას დამე, რადგან ყოველი, რაც არსებობს, მოქმედებს და მოძრაობს და რადგან მოქმედება და მოძრაობა თა-

რევოლიუციო ენერგია დასცალეს სწორედ მაშინ კი არა, როდესაც რევოლიუციონური ძალების ზრდა საკმაოდ განვითარებული და გაზრდილი იყვნენ სოციალურ მაჯლაჯუნათა რეჟიმიუ დასამხობათ, არამედ დასცალეს მობროვილი რევოლიუციონური ძალა მაშინ, როდესაც ის ჯერ კიდევ საკმაო არ იყო; ამიტომ რევოლიუციამ თუმცალა **დაანგრია**, სძლია დაბრკოლება თავისუფალი სოციალური განვიუარების **გზაზე**, მაგრამ მას ძალები აღარ ეყო და ამას იქით ინიციატივა მიუგდო თვით ვითარებამ ძველ ბნელ ძალებს, რომლებმაც სუსტი რევოლიუციის მიერ გაწმენდილ ასპარეზზე ააგეს თავიანთი ძველი შენობა, რომელსაც მხოლოდ ფასადი შეუცვალეს და ისიც ძლიერ ცოტათ.

რეაქციის გამოცოცხლებას მოჰყვა ბურჟუაზიის და მისი დამცველი დამქაშების გამოცოცხლება **ღალატი** იმ მოძრაობისა, რომლის ფეხის ხმა მათ შრომის ქირის ჯოჯოხეთიდგან მოესმათ. ეს ღალატი არ არის გასაკვირველი შეგნებულთათვის, რადგან გაბატონებული კლასი, როგორც ასეთი, ღალატით გახდა ბატონი დასაწყის და **ბუნებრავია**, რომ **მოღალატე დასაწყის მოღალატე იყოს დასასრულსაც.**

**უღალატეს** რევოლიუციას ყველა **პოლიტიკურმა** პარტიებმა, რადგან ყოველი პო- **პოლიტიკური** ეკონომია არის სახელმწიფოებრივი ეკონომია, რადგან ყოველი პოლიტიკური არის სახელმწიფოებრივი, რადგან ყოველი პარტიული არის პოლიტიკური, რადგან ყოველი პოლიტიკური პარტია არის კანდიდატი სახელეწიფოებრივი ბატონობისა, რადგან ყოველივე **პოლიტიკური** არის ბურჟუაზიული ან კლასობრივი ბატონობა.

და აი ვინც უფრო ხშირად ჰფიცავდა პროლეტარიატის და მასსის სახელით, სწორედ ისინი აძლიერებენ დღეს ყივილს პოლიტიკური ლოზუნგებისას, რომლებითაც ისინი ან სრულიარ არა და ან ძლიერ ძვირად სარგებლობენ მასის და პროლეტარიატის ასამოძრავებლად ან ამ მოძრაობის სათავეში მოსაქცევად, საექსპლოატაციოთ; მათ არა თუ უნაყოფო ჰყვეს მთელი მოძრიობა, არამედ გარყვნეს კიდეც იმ რეაქციასთან ერთად, რომელსაც ფორმალურად ებრძვიან და რომელთან ერთად მოქმედებენ ფაქტიურად, როგორც რუსეთის რევოლიუციის შინაგანი რეაქციის ავტორები, შინაგანი რეაქციის, ურომლოდაც გარეგანი რეაქცია ვერას გააწყობდა.

---

ვისუფლებაა, ამიტომ არსებობის ძირითადი პირობა თავისუფლებაა.

**ცხადია**, რომ თუ არსებობის განვითარება სწარმოებს, სწარმოებს მასთან ერთად მოქმედების და მოძრაობის განვითარებაც. როგორც უკვე ვთქვით არსებობა და მისი ხარისხი და ხასიათი განისაზღვრება მოქმედების და მოძრაობის ხარისხით, მოქმედება და მოძრაობა კი სწარმოებს უმცირესი დაბრკოლების წრეში, უმცირესი დაბრკოლებისაკენ, რაც მოქმედების და მოძრაობის ხელის შემწყობი პირობაა—წრე, რომელშიდაც ისინი თავისუფალი არიან; მაშასადამე, რამოდენად წრე, რომელშიდაც მოქმედებს და მოძრაობს ის, რაც ამ წრეში არსებობს, ნაკლებ დაბრკოლებას აღმოუჩენს მასში მომქმედ და მმოძრავ არსებობას, იმოდენად მოქმედება და მოძრაობა წინ მიდის თავის განვითარებაში, იზრდება, მძლავრდება—უფრო და უფრო თავისუფლდება—პროგრესიულ ევოლიუციაში—და მასთან ერთად არსებობაც, რადგან არსებობა მოქმედებისათვის, მოძრაობისათვის იმ გვარადვე საჭიროა, როგორც მოძრაობა და მოქმედება არსებობისათვის.

ამ გვარად წრის დაბრკოლების სიმცირის ზრდა ან კლება, მოასწავებს მოქმედების, მოძრაობის ზრდას ან კლებას, პროგრესს ან რეგრესს, თავისუფლების ზრდას ან შემცირებას —თავისუფლების მაჩვენებელი არის არსებობის მაჩვენებელი.

პროგრესი იმოდენად სწარმოებს, რამოდენად თავისუფლება განხორციელებული არის—თუ თავისუფლება მცირე ან დიდია, პროგრესიც მცირე ან დიდია. თუ პროგრესი და თავისუფლება კლებულობს, მცირდებ·, მცირდება მოძრაობა ცა მოქმედებაც. მცირდება მაშასადამე არსებობაც და ბოლოს თავისუფლების კლებასთან ერთად სუსტდება პროგრესი, მოძრაობა და მოქმედება უმცირესი დაბრკოლებისაკენ, ნაკლები ძალის ხარჯი და უდიდესი ნაყოფის გამოღება და იწყება შევიწროება, რეგრესი, მოძრაობა და მოქმედება უდიდესი, გაძლიერებული დაბრკოლებისაკენ, უდიდესი

ამ გვარია ჩვენი დღევანდელი გარემოება გაყაყებისა, რომლებსაც რუსეთის რევოლიუციის და საერთოდ სოციალიზმის შინაურმა რეაქციონერებმა გადმოგვიგდო წითელი ნაჭერი რომელშიდაც რეაქციონური ანკესია გახვეული.

ეს შინაური რეაქციის მეთევზეები სარგებლოპენ თავიანთი მდგომარეობით შინაურ შავრაზმელებისა და შავრაზმულ უვიც კრიტიკას ეწევიან თივისუფალ სოციალიზმის წინაალმდეგ, რადგან თვით იმ გვარადვე **„ჭეშმარიტი სოციალისტები“** ბრძანდებიან, როგორც გრინგმუტი, კრუშევანი და კონპანია **„ჭეშმარიტი რუსები“**—ყველა ეს ვაჟბატონები ამღვრევენ წყალს შინ და გარედ რათა უკეთ დაიჭირონ სოციალურ მღვრიე მდინარეში თევზი ბატონობისა.

ამ გვარი კრიტიკოსები მრავლად იბადებოდნენ და ჰქრებოდნენ სოციალ-დემოკრატთა ბანაკში, მაგრამ რადგ-ნ მათ კრიტიკას გამარჯვებული ანტიკრიტიკა მოჰყვა, ამიტომ იმათ ცოტა არ იყოს დაცხრენ, А теперь почиваютъ на лаврахъ своего невѣжества.

ნეტარ ხსენებულ ს.-დ. კრიტიკოსების ჩვეულება შესდგებოდა ტაკტიკისაგან და სტრატეგიისაგან.

მათი ტაქტიკა შესდგებოდა იმაში, რომ გამოუშვებდნენ საჭიდაოდ ბრიყვებს და რეგვნებს, ბრძენნი და მოხუცნი სოციალ-დემოკრატიისანი კი განაგებდნენ არიერგარდს კუროპატკინსავით, რომლის სტრატეგია შეითვისეს სავსებით, ისინი არიერგარდიდგან განაგებდნენ თავიანთ უნიჭო და უვიც კრიიტკოსების მოძრაობას.

ამ გვარსავე ხელობას მიჰყვეს ხელი სოციალ-ფედერალისტთა ბრძენებმა და მოხუცებმა: გამოუშვეს თავიანთ უფერულ გაზეთის ფურცლებზე ბალლინჯოები მეცნიერებისა და შეუბეს ჭიანჭველები ლიტერატურულ გუთანში და შეუდგნენ ხვნას თავიანთ „გაზეთის“ უდაბნოისას და თესვას უნაყოფო აზრებისას თავიანთსავე „გაზეთის“ იდეიურ უდაბნოში.

საქმე იქამდის მივიდა, რომ სოც-ფედერალისტები **თავიანთ** მსოფლ-მხედველობაზეც *) კი ლავარაკობენ. თუ მასხრობა არ არის, მაშინ სირცხვილი მაინც არის ამ გვარი დაჩემება. სად გაქვთ თქვენ, ბატონო ფედერალისტ-სოციალისტ-რევოლიუციონერ-დემოკრატ-ნაციონალისტ--მარქსისტულ.-ანაოქისტ-

*) იხილე ფელეტონები არ. ჯ—შვილისა, ისრის ნომრებუი სადაც მარქ. და ანარქ. გარჩეული.

ძალის ხარჯი და უმცირესი ნაყოფის გამოღება და ბოლოს ისპობა თავისუფლება, მოქმედება არსებობისათვის, ისპობა თვით არსებობაც, განვითარება დაუბრუნდება თავის გამოსავალ წერტილს და ხელ ახლა დაიწყება მხოლოდ სხვა ფორმით და შინაარსით.

მოვლენა არსებობს ნაკლები დაბრკოლების წრეში, იმოდენად რამოდენად შესაძლებელია მოძრაობა, ნაკლები ძალის ხარჯი, მოქმედება, დაბრკოლების დაძლევა—რამოდენად თავისუფლება არსებობისა შესაძლებელია.

თავისუფლება, არა-არქიულობა პროცესი, წესია ყოველი არსებობისა—მოქმედება არსებობისათვის თავისუფლებაა არსებობისა;

მოვლენათა საერთო წესს არსებობისა—მოქმედების და მოძრაობის შესაძლებლობას უმცირესი დაბრკოლებისაკენ ანუ თავისუფლებას—აქვს ორი მხარე განვითარებისა, ორი დამახასიათებელი მომენტი თავის განვითარებაში. ერთი, როდესაც მოძრაობა მოქმედება სწარმოებს ზრდით, მატებით სიღრმეში და სიგანეში, განვითარდება დაბრკოლების დაძლევის პროცესში, როდესაც მოძრაობა, უფრო და უფრო მცირე დაბრკოლებისაკენ სწარმოებს; ამ გვარია ერთი მხარე, ერთი პროცესი, წესი მოქმედების, მოძრაობის მიმართულებისა. ამ გვარი მოძრაობა და მოქმედება წარმოადგენს ნაკლები ძალის, ენერგიის ხარჯით უმეტეს ნაყოფის გამოღებას—ეკონომიას ძალისა და ენერგიისა,—რასაც მოსდევს მოძრაობის, მოქმედების მოგროვება ზრდა და მომქმედის და მოძრავი სხეულის ინტეგრაცია, არსებობის პროგრესი.

მეორე, როდესაც მოძრაობა, მოქმედება სწარმოებს კლებით, თანდათან მცირდება სიღრმეში და სიგანეში, განვითარება დაბრკოლების დაძლევის ნიჭის დასუსტების პროცესში, როცა მოძრაობა უფრო და უფრო დიდი დაბრკოლებისაკენ სწარმოებს; ამგვარია მეორე მხარე მეორე პროცესი, წესი მოქმედების, მოძრაობის მიმართულებისა.

ამ გვარი მოქმედება და მოძრაობა წარმოადგენს მეტი ძალის, ენეოგიის ხარჯით უმცი-

ულ და სოციალისტ-რევოლიუციონურ პარტიას თქვენი იდეოლოგიური ინვენტარი. იქნება თქვენ სთვლიდეთ თქვენად ყველა იდეოლოგიებს, მაგრამ მაშინ თქვენ ემსგავსებით ისეთ „ბუხჰალტერს,“ რომელსაც თავის ინვენტარად მიაჩნია ყველა ის ინვენტარები, რომლებიც მის მიერ გამოცვლილ მრავალ „ხაზეინების“ საკუთრებას შეადგენს.

ბოლოს და ბოლოს, როდესაც კარგად ჩაუკვირდები ადამიანი სოც-ფედერალისტების საზოგადოებრივ ბრძოლის კორპუსს, დაინახავთ, რომ შტაბი სამწერლო ასპარეზისა, შესდგება გადამწერლებისაგან, სასამართლოს „პრაქტიკებისაგან,“ წერაკითხვის უცოდინარ მასწავლებელთაგან, მუნჯ ორატორებისაგან, მტრის ბრმა მზვერავებისაგან და ყრუ, ბრმა ბებერ, დაკოდილ რევოლიუციონერებისაგან.

ყველა ეს არ იკმარეს და სურათი იმითი დამთავრეს, რომ თავიანთ „გაზეთის ფურცლებზე გამოუშვეს ქვანქველა, რომელსაც ჩააგონეს პარტიული ჰიპოტიზმის საშვალებით, რომ ის აქლემია დააბარეს და მოქცეულმყო ისე, როგორც აქლემი.

ვნახოთ ეხლა რა მოდგმას ეკუთვნის სოციალურ და ლიტერატურულ მოღვაწეთა კლასიფიკაციაში ის ცხოველი, რომელიც აქლემის სახელით გამოუშვეს თავიანთ გაზეთის ფურცლებზე სოც-ფედერალისტებმა.

ისრის ქიანქველა აქლემის ტყავში „ისრისავე“ 151-ნომერში ამბობს, რომ მან გაეცნო თვით და სხვაც გააცნო „ანარქიზმის“ და „მარქსიზმის“ **ძირითად მსოფლმხედველობას“ „რომ მათ შორის დიდი ნათესაობაა“** (მარქსიზმს და ანარქიზმს შუა). როგორ მოახერხა და დაინახა ან სხვას დაანახვა **მარქსისტულ და ანარქისტულ ძირითად მსოფლმხედველობათა** ნათესაობა ისრის ქიანქველამ აქლემის ტყავში გახვეულმა და წოდებულმა არ. **ჯ**—შვილად, ჩვენ ვერ გაგვიგია, ვერ გაუგია ეს მრავალ მეცნიერთ და კრიტიკოსებს გაიგო მხოლოდ სოც-ფედერალისტთა აქლემმა. სირცხვილი, რომ მოაზრეს ჰკლავდეს მოჰკლავდა აქლემსაც, რომელსაც პსიხოლოგია, ნატამალი გონიერებისა მაინც აქვს და თუ ჯ—შვილი ჯერ კიდევ ცოცხალია, ეს იმას ნიშნავს, რომ ის აქლემის აზროვნებასაც კი მოკლებულია.

„ისრის“ ქიანქველა, რომელსაც თავის თავი აქლემი ჰგონია, თავგასულად გაიძახის, რომ მარქსიზმიც და ანარქიზმიც უარსყოფს

---

რეს ნაყოფის გამოღებას—ფლანგვას ძალისა და ენნრგიისა—, რასაც მოსდევს მოძრაობის, მოქმედების შემცირება, გაბნევა და მომქმედის და მოძრავი სხეულის დეზინტეგრაცია, დარღვევა—რეგრესი.

მაშასადამე სხეულთა, მოვლენათა არსებობის პროცესი, წესი ორ გვარია:

1, მოქმედება და მოძრაობა უმცირეს დაბრკოლებისაკენ, უმეტეს თავისუფლებისაკენ და უმცირესი ენერგიის ხარჯით უმეტესი ნაყოფის მიღება;

2, მოქმედება და მოძრაობა უმეტეს დაბრკოლებისაკენ, უმცირეს თავისუფლებისაკენ და უმეტესი ენერგიის ხარჯით უმცირესი ნაყოფის მიღება.

**მოვლენათა განვითარების საშუალება.**

მოვლენათა განვითარების ორ გვარ წესს შეეფერება ორი საშუალება; ერთი ამ საშუალებათაგანი შესდგება მოძრაობის მოქმედების გადაცემაში კონტაქტის, შეხების საშუალებით—მეორე მოძრაობის და მოქმედების გადაცემაში სივრცის საშუალებით, მანძილზე; პირველი საშვალება მოძრაობის და მოქმედების გავრცელებისა არის პირდაპირი, უსაშვალო, რადგან მოქმედების და მოძრაობის გადაცემა, გავრცელება სწარმოებს პირდაპირ შეხებით, კონტაკტით; მეორე საშვალება მოძრაობის და მოქმედების პროცესის განსახორციელებლად საშუალობითი, შუამავლობითი, არა პირდაპირია რადგან მოძრაობა და მოქმედება გადაცემულია გამყოფი სივრცის, მანძილის საშუალებით.

თუ რომელიმე სითხეში, მაგალითად, წყალში რომელიმე სისწრაფით ვამოძრავეთ ან დავაბრუნეთ რამე ღერძი, მაშინ წყლის მოლეკულები, რომლებიც პირდაპირ ღერძს ეხებიან მოვლენ მოძრაობაში მაშინვე, ღერძის მოძრაობასთან ერთად და იმავე სისწრაფით რა სისწრაფითაც ღერძის ზედაპირის ნაწილები მოძრაობენ, ეს მოლეკულები მოიყვანენ მო-

შემოქმედებითი მუშაობას, „მათ შემოქმედებითი, დადებითი მუშაობა არა **სურთ** და არც საჭიროდ მიაჩნიათ.

მარქსისტების დასამარცხებლად ეს ქიანქველა ანარქისტულ მხედველობის წერტილს ემყარება და ამბობს, რომ კანონი მოვლენათა ურთიერთობის შედეგიაო და არა მოვლენები კანონისაო, მოვლენები ხომ ცვალებადი არიან და მაშ სადამე მისი შედეგიც **ცვალებადი** უნდა იყოს, რითაც კავონიც უარყოფილია, რადგან კანონი მაშინ არის კანონი, როდესაც ის **მუდმივი** ხასიათის (ПОСТОЯНТТВО) არის.

შემდგომ ნუ იტყვით თურმე სოც-დემოკრატები და მარქსიზმი შემოქმედებითი მოღვაწეობას უარჰყოფენ; ისინი არც პროპაგანდას არც მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესებას, არც პროფესიონალურ კავშირებს, არც გაფიცვებს, არც კანონმდებლობას არ ეწევიან, ის კი არა, მათ თურმე ქიანქველას აზრით, აწმყოში არავითარი სოციალისტური არ სწამთ და მხოლოდ დემოკრატები არიან.

ესეც თავკასულობის ნიმუში.

ქიანქველას ეუბნებიან დიალექტიური პროცესის თანახმათ, რომ ყოველი მომენტი შეიცავს მომავალს, რომელიც მომენტისაგან უნდა დაიბადოსო, თქვენ გეუბნებიან, რომ აწმყოში მომავლის თესლია და ჩვენ ხელს უწყობთ მომავლის თესლების აღზრდას და განვითარებასო, ქიანქველა კი ებღაუჭება თავის უსუსურობას დმ მძლავრი შეცდომა უნდა გააქარწყლოს თავისი უსუსურობით.

დოქტრინერობაზე ცფრო კრიტიკისათვის არის საჭირო მეცნიერული მომზადება. ქიანქველა კი ეწევა მარქსიზმის კრიტიკას და მარქსიზმი კი სრულებით არ შეუსწავლია **პირდაპირ** თვით მარქსთან, არამედ გადმოცემით მარქსიზმის თაობაზე, ციტატებით, რომლებიც აქ იქ მარქსიზმის კრიტიკაშია გაბნეული,

რაც უნდა იყოს მარქსიზმი, მაგრამ ქიანჭველისეულ ქოთანში მოხარშული ლობიო მაინც არ არის, თუნდ ძაღლიც კი მიათრევდეს კუდით.

ვისაც მარქსიზმის დანგრევა უნდა იმან მისი რიცხვითი და თვისებითი ანალიზი უნდა მოახდინოს, უნდა გაარჩიოს თვითო თვითოთ ძირითადი საფუძვლები მარქსიზმისა მეცნიერული მხრით და შემდგომ ასწონოს თვითეული ჯერ ცალკე და შემდგომ შედარებით ერთი მეორესთან და ბოლოს საერთოდ. ქიანქაელა კი ჩასჭიდებია გორას შეცდომებისას

---

ძრაობაში შემდგომ მოლეკულებს, ეს უკანასკნელები კიდევ შემდგომს და ამ რიგად მოძრაობა გადაეცემა უფრო და უფრო განაპირის მოლეკულებს ყოველ მხრივ, მაგრამ რაც უფრო შორს იქნება მოლეკულა, მით უფრო ნაკლები იქნება მისი მოძრაობა, რადგან თვითეული მათგანი ყლაპავს გადაცემული მოძრაობის ნაწილს; ამ რიგად მოძრაობა გადაცემულია ყოველ მხრივ, მაგრამ ის იმოდენად მცირდება, **რამოდენად** უფრო და უფრო განაპირია მოლეკულა და უფრო მძლავრია იმოდენად, რამოდენად უფრო ახლოა მოძრაოავ სხეულთან.

თუ, მაგალითად, წყლის ზედა პირთან ახლოს დავაბრუნეთ რამე პრტყელი სირბვლე საჭირო სისწრაფით; მაშინ ვნახავთ, რომ წყალის ზედაპირის მოლეკულები, რომლებიც მბრუნავი სირგვლის პირდაპირ იმყოფებიან მოვლენ მოძრაობაში და თუ სიმრგვლის ბრუნვა განვაგრძეთ საჭირო სისწრაფით, მაშინ დავინახავთ, რომ წყალი იმ ადგილას, რომლის პირდაპირაც სიმრგვლე ბრუნავს ამოიზნიქება და თანდათან დაემგზავსება სვეტს და ბოლოს კიდეც შეუერთდება მბრუნავ სიმრგმლეს, რომელმაც ამ გვარად თავისი მოძრაობით გაიტაცა მოძუძობაში სხვა სხეული და ბოლოს თანდათან მიიზიდა; აქედან ცხადია არა თუ ის, რომ ნიუტონის თეორია და კანონი მიზიდულებისა შემცდარია, როდესაც მოძრაობა მიზიდულების ძალისაგან გამოჰყავს, რადგან აქედგან ცხადია, რომ მიზიდულება შედეგია მოძრაობისა, არამედ ცხადია ისიც, რომ თვით მიზიდულება ანუ ნაკლები დაბრკოლებისკენ მოძრაობა მით უფრო ნაკლები იქმნება **რამოდენად** დიდი იქნება სივრცე, რომელიც ჰყოფს წყალის ზედაპირს და მბრუნავ სიმრგვლეს, რამოდენად დიდი იქნება მანძილი მათ შორის, რამოდენად უფრო დაშორებული იქმნებიან ერთი ერთმანეთისაგან სითხის ზედა პირი და მოძრავი სხეული, რამოდენად მოძრაობა, მოქმედება მმოძრავი სხეულისა არაპირდაპირი იქნება. რამოდენად მრძრაობა და მოქმედება

მძლავრი გონების შექმნილს და უნდა ქვეყანას უჩვენოს სასწაული, უნდა თავის უსუსურობით სიძლიერე სძლიოს.

სანამ მარქსიზმის კრიტიკა ა' ეთ პირობებში იქმნება, სანამ მარქსიზმის კრიტიკა გადმოცემებზე იქმნება დამყარებული, მანამ ეს უზარმაზარი შეცდომა, რომელმაც ისეთივე ზიანი მოუტანა მუშათა მოძრაობას, როგორც ქრისტიანიზმა საბერძნეთის ფილოსოფიურ კულტურას და მთელ კაცობრიობას—**მანამ** მარქსიზმი იბატონებს.

როდესაც ჭიანჭველა აქლემის ქურქში გახვეული ფოლავს თავისი ჩლიქით მარქსიზმსაც და ანარქისმზაც და თავის თავს აყენებს ორივეზე უფრო მაღლა, მაშინ ის მარქსიზმის წინააღმდეგ ანარქისტია და ანარქისტების წინააღმდეგ კი იმეორებს ბურჟუაზიულ და ისიც უვიც ბურჟუაზიულ მწერლების არგუმენტებს.

მარქსისტებს ეუბნება, რომ ისინი დღეს დემოკრატები არიან და შორეულ მომავალში სოციალისტები, ე. ი. დღეს ისინი მხოლოდ „ისეთს ცვლილებებ'ს ემხრობიან, რომლებიც თანამედროვე წეს-წყობილებას **არსებითად არ** ეწინააღმდეგება,“ ანარქისტებს ეუბნება, რომ იმათ თუმცაღა **„დღესვე შესაძლებლად** მიაჩნიათ **სოციალისტურ წეს-წყობილების განხორციელება,** მაგრამ ისინი მხოლოდ **უარყოფითის მუშაობით** კმაყოფილდებიან. ანარქისტებს „მიზნათ დღევანდელ წეს-წყობილების დანგრევა დაუსახავთ“.

ამ ორ ბრალდებიდგან, ერთი მარქსისტების წინააღმდეგი, საოცარია სოც-ფედერალისტის პირში, რადგან ესენი თავიანთი პირველი პროგრამით, რომლის გზაზე დღესაც დაიარებიან თხოულობენ დემოკრატიულ რეჟიმს, როგორც რუსეთისთვის, ისე ავტონომიურ საქართველოსთვის მათი მინიმუმით, მაქსიმუმი კი მათაც სოც-დემოკრატიული აქვთ. თვით სოც-ფედერალისტები სოც-დემოკრატები ბრძანდებიან, იმ გვარადვე სოციალური და პოლიტიკური ორკეცი ბუჰგალტერია აქვთ, დემოკრატიული წეს-რიგი პროგრამა მინიმუმამათ აქვთ და სახელმწიფოებრივი სოციალიზმი მაქსიმუმათ. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ სოც-დემკრატები ცენტრალისტები არიან და ფედერალისტები კი **სახელმწიფოებრივი დეცენტრალიზაციის** მომხრე არიან მაშინ როდესაც ანარქისტები ეკონომიური დეცენტრალიზაციის მომხრეები არიან და სახეელმწიფოებრივობას კი სრულიად უარსჰყოფენ.

---

არაპირდაპირია, სწარმოებს მანძილის საშუალებით, დაშორებულია თავისი (ობიექტისაგან) საგანისაგან, იმოდენად უფრო მეტი მოძრაობა და მოქმედება უნდა დაიხარჯოს შესამჩნევ ეფექტის მოსახდენად, იმოდენად ენერგია გაფლანგულია და მოძრაობა გაბნეული; როდესაც მოძრაობა და მოქმედება პირდაპირია, სწარმოებს, მანძილზე, საგანზე დაშორებით (თავის ობიექტისაგან) კი არა, არამედ შეხებით, კონტაქტით, ახლო, მაშინ ნაკლები მოძრაობის, მოქმედების, ენერგიის ხარჯი ახდენს შესამჩნევ ეფექტს, რის გამო მოძრაობა, მოქმედება, ენერგია გაფლანგული კი არ არის, არამედ პირიქით მოქმედების, ენერგიის ეკონომია სწარმოებს.

ამასთანავე რამოდენად უფრო საშუალებრთია მოქმედება, რამოდენად უფრო ვრცელია მანძილი, მაშვალი სივრცე, რომლის შუამავლობით უნდა გადაცემულ იქნას მოძრაობა, მოქმედება იმოდენად მოძრაობა და მოქმედება უფრო ძლიერი უნდა იქნას, უფრო დიდი, მაშასადამე მოქმედების და მოძრაობის გადამტან სივრცის ზრდასთან ერთად უნდა იზრდებოდეს მოქმედება და მოძრაობაც, მაგრამ მოქმედების და მოძრაობის ზრდა არის დროს ზრდა, ე. ი. დროს ხარჯი, ფლანგვა, ამ შემთხვევაში ეფექტი დაგვიანებულია.

როდესაც მოძრმობა, მოქმედება გადაცემულია შეხებით, კონტაქტით პირდაპირ, მაშინ ეფექტიც დაუყოვნებლივ მოსდევს მოქმედებას და მოძრაობას, რაც დროს უმცირეს ხარჯს, დროს ეკონომიას წარმოადგენს.

მაშასადამე საშუალება (средство) მოქმედების და მოძრაობისა ორ გვარია:

1, მოქმედება პირდაპირი, რომელიც ამასთანავე წარმოადგენს დროს და ენერგიის ეკონომიას და უსაშუალო (непосредственный) უახლოეს ეფექტს, პირდაპირ ნაყოფს—ის მეტად მძლავრი, საიმედოა (elle est plus effective);

2, მოქმედება არა პირდაპირი, რომელიც ამასთანავე წარმოადგენს დროს და ენერგიის ფლანგვას და უშორეს ეფექტს, დაგვიანებულ ნა-

აქლემის ოდენა ჭიანჭველას, ზღაპრულ მწერალს „ისრისას“ რომ ჰკითხოთ. გიტყვით, რომ ანარქისტები მხოლოდ **დანგრევით** კმაყოფილდებიანო, იმათ შემოქმედებითი მუშაობისა კი არაფერი სწამთო. ერთი სიტყვით ს.-დემოკრატების შემოქმედება აწმყოში დემოკრატიულია, ანარქისტების შემოქმედება კი ვის გაუგონია აწმყოშიო, ისინი მხოლოდ ანგრევენო, მაშინ როდესაც „გარდაქმნაში ადამიანმა **აქტიური** მონაწილეობა უნდა მიიღოს“ და ეს იქტიური ადამიანი კი სოც.-ფედერალისტური ჭიანჭველები არიან და ამიტომ არის „რომ ყოველ წუთს იგი (ე. ი. ჭიანჭველა და ძმანი მისი) უნდა ცდილობდეს, რომ **დღევანდელს** ცხოვრებაში **სოციალისტური** ელემენტები შეიტანოს. **ამიტომ** არის, რომ რუსეთის **სოც.-რევოლიუციონერები** და ქართველი **სოციალისტ-ფედარი** ტები მიწის **სოციალიზაციას ჰქადაგებენ“ ამით** თურმე ს.-რ. და ჩვენი **ს.**-ფ.-ბი „სარგებლობენ, რომ მოძრაობა **გაარღმავონ**, და როგორც **გარეგანი** სახით, ის, შინაგანი თვისებით **სოციალისტური**, ხასიათი მისცენ“.

როგორც უკვე ვსთქვით სოც.-ფედ. არ ეთქმით ს.-დემოკრატების წინააღმდეგ რომ ისინი უფრო აქტიური არიან აწმყოში, რადგან ს. ფედერალისტებიც ისეთივე დემოკრატები არიან აწმყოში, როგორც ს-დემოკრატები. რაც შეხება ანარხისტებს, მტკნარი სიცრუეა ვითომ ისინი არ იყვნენ აქტიური და მხოლოდ დანგრევას ანდომებდნენ თავიანთ ძალას.

ვნახოთ რას ამბობენ თვით ანარქისტები აწმყოში მოქმედებაზე, შემოქმედებაზე სოციალისტისა, რომლის „ყოველი მოძმედება, როგორც აქლემად გადაქცეული ჭიანჭველა ბრძანებს, „თვითეული მისი ფეხის გადადგმა მიზანთან შეთანხმებული უნდა იყოს“.

ისინი ამბობენ „უკეთესობა პროფესიონალური კავშირებისა შედარებით სხვა კავშირებთან, შესდგება იმაში, რომ ნაწილობითი გაუმჯობესების საქმე და სოციალური გადაქმნის უფრო მნიშვნელოვანი საქმე სწარმოებს ერთ და იმავე დროს და პარალელურად. აი რისთვისაა, რომ სინდიკატი აკმაყოფილებს ამ ორკეც მისწრაფებას და ანვითარებს ამათ ისე, რომ არ სპობს არავის ინიციატივას, არ ახშობს არავის სიმძაფრეს და არ სწირავს მსხვერპლად **აწმყოს** მომავალს და **მომავალს** აწმყოს... აი ყველა ამიტომ

---

ყოფს—ის უმეტესად სუსტია, ნაკლებად საიმედოა (elle est moins effective).

უსულო, არა-ორგანიულ სხეულთა მექანიური შერჩევა ნაწილებისა, პროცესსი განვითარებისა (механическій подбор частиц, процесс соединенія, дѣйствія, движенія) მოქმედებისა და მოძრაობისა სწარმოებს ორ გვარი საშვალებით, როგორც ზევით ვთქვით. როდესაც მოძრაობა პირდაპირ გადაიცემა, მაშინ ეს იმას მოასწავებს, რომ ნაწილები ნივთიერებისა ძლიერ ახლოს არიან და რამოდენად ნაწილები უფრო ახლოს არიან ერთი მეორისაგან, იმოდენად მიზიდულება, კავშირი უფრო მძლავარია, მაშინ კი, როდესაც მოძრაობა, მოქმედება არ არის პირდაპირი, მიზიდულება, კავშირი ნაწილებს შორის მით უფრო სუსტია, რამოდენადაც ისინი დაშორებული არიან ერთი მეორესაგან საშუალო წრის მიერ.

მოვლენათა განვითარების პროცესსი ორი საშვალებით სწარმოებს. უბრალო შერევა და კომბინაცია.

თუ მაგალითად ავიღებთ რკინის ნაქლიბს, ნახერხს და ავურევთ გოგირდის ფქვილს, მაშინ მივიღებთ მოსისვო, მონაცრის ფერო მასსას; როდესაც ამ მასას თვალით განვიხილავთ, ის ერთგვარად გვეჩვენება, მაგრამ, თუ მიკროსკოპი ვიხმარეთ, მაშინ ცხადად გავარჩევთ რკინის ნამცეცებს გოგირდის ნამცეცებისაგან; მათი ერთი მეორესაგან დაშორება ადვილია უბრალო მექანიკური საშვალებით, მაგალითად ანდამანტის საშვალებით, რომელიც, თუ მოურიეთ ნარევში, მიიზიდავს რკინის ნამცეცებს, ან კიდევ შეგვიძლია წყალი ავამღვრიოთ ამ ნარევით და შემდგომ თანდათან გადავრეცხოთ გოგირდი. ამ გვარად კავშირი რომელიც წარმოსდგება არევის საშვალებით არ არის მძლავრი და ირღვევა საკმაო სუსტი გარეშე ძალის, მოქმედების გავლენის ქვეშ.

ეხლა, თუ იმავე ნარევს რკინის და გოგირდის ნამცეცებისას გავაცხელებთ, ვნახავთ რომ გოგირდი დადნება, შემდგომ მასა გაშავდება და სულ ერთიანად გადადუღდება (entre en

სინდიკატი არის საუკეთესო ორგანიზაცია ღირსებით." *)

„თანამედროვე ვითარებაში—ჩვენ ვლაპარაკობთ მხოლოდ იმაზე, რაც, შეიძლება განხორციელდეს თანამედროვე პირობებში—რევოლიუციონური საერთო გაფიცვა წარმოადგენს მუშა კლასისათვის ერთადერთს და ერთადერთ მძლავრ საშვალებას კაპიტალისტურ და მთავრობითი ულლიდგან განთავისუფლების მისაღწევად.

საერთოდ გაფიცვა, როგორც იარაღი ეკონომიური ბრძოლისა, იმ შემთხვევაშიაც კი, როდესაც ის ისახავს ვიწრო მიზანს — ნაწილობითი გაუმჯობებისას, უფრო მდიდარია მუშებისათვის საციკეთო ნაყოფებით, ვინემ პარლამენტალური გზით ვაიძულოთ საზოგადოებრივი ძალები (общественныя власти) ჩაერიონ გაყვლეფილთა სასარგებლოთ."

„იმ საერთო გაფიცვის შორის, რომლის მიზანი ესქპროპრიაცია არის და რეფორმისტულ საერთო გაფიცვის შორის არავითარი არსებითი განსხვავება არ არის; ორივე გამომდინარეობს საერთო პრინციპიდან—მუშათა კლასის პირდაპირი ბრძოლის პრინციპისაგან".

„რეფორმისტული საერთო გაფიცვა სწმენდს გზას საერთო გაფიცვისათვის, რომლის მიზანი **ექსპროპრიაციაა**".

მაშასადამე **მიზანი** ანარქისტების **უმთავრობო** სოციალიზმია, **საშვალება** საყოველთაო გაფიცვა—**პირდაპირი** ბრძოლა, **მოქმედება**—და იარაღი კი სინდიკატი. მიზანი საზოგადოებრივი, **ეკონომიურია**, საშვალება **ეკონომიური** და ორგანიზაციაც **ეკონომიური**, მაშასადამე მთელი მოქმედება მკაცრად შეთანხმებულია. ამასთანავე **მიზანი პირდაპირია**, ეკონომიურად და სოციალურად მთელია, **ბრძოლა პირდაპირი ანტიპარლამენტარული** და ორგანიზაციაც **პირდაპირი** უპარტიო, **ანტიპარტიული**, რადგან პარტია უსათუოდ პოლიტიკურია.

მათი მიზანი **სოციალურია**—საზოგადოებრივი საკუთრება, წარმოება და განაწილება, **საშ ალება** სოციალური—კავშირი კლასობრივ მდგომარეობის პირობათა, იარაღი სოციალური—სინდიკატი, კავშირი ბრძოლისათვის, ყოველდღიური ბრძოლა შედის საბოლოვო გადამწყვეტ ბრძოლაში, როგორც ნაწილი მრთელში.

ეხლა ვნახოთ რით არის შემოქმედი

---

*) ემილ პუჟე, სინდიკატი.

---

fusion); გაცივების შემდგომ ჩვენ მივიღებთ შავ, ერთგვარ, გომოგენურ მასას და ვერავითარი საშვალებით ველარ გავარჩევთ რკინას გოგირდისაგან, ვერც თვალით და ვერც მიკროსკოპით, ვერც დავაშორებთ ერთი მეორეს ვერც გადარეცხვის და ვერც ანდამანტის საშვალებით, საჭიროა ახალი ელემენტი, რომელიც უფრო მიიზიდავს ერთ მათგანს ვინემ რომელიმე მათგანი ერთი მეორეს.

ამგვარად ჩვენ ვხედავთ რომ რამოდენად უფრო განუწყვეტელია (непреривен) მასის ნაწილების ურთიერთობა, რამოდენათ უფრო ახლოს არიან მასის ნაწილები იმოდენად უფრო ეზიდებიან ერთი მეორეს, იმოდენად უფრო მძლავარია მათი კავშირი და უკუღმა.

ამ გვარად ჩვენ შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ მოვლენათა არსებობის ორ სპეციფიკურ, განსაკუთრებულ პროცესს, ორ წესს შეეფერება განსაკუთრებული ორი საშვალება განხორციელებისა.

მოქმედებას და მოძრაობას უმცირესი დაბრკოლებისაკენ, უმეტეს თავისუფლებისაკენ თან სდევს უმცირესი ენერგიის ხარჯი და უმეტესი ნაყოფი—დროს და ენერგიის ეკონომია—და, როგორც ამ გვარ პროცესს, წესს, შეეფერება პირდაპირი მოქმედება, როგორც საშვალება, რომელიც განაგებს, ანხორციელებს დროს და ენერგიის ეკონომიას და ამასთანავე უახლოვეს ეფექტს, როგორც მისი სიმძლავრის მაჩვენებელს.

მოძრაობას და მოქმედებას უმეტეს დაბრკოლებისაკენ, უმცირეს თავისუფლებისაკენ თან სდევს უმეტესი ენერგიის ხარჯი და უმცირესი ნაყოფი—დროს და ენერგიის ფლანგვა—და, როგორც ამ გვარ პროცესს, წესს, შეეფერება არაპირდაპირი მოქმედება, როგორც საშვალება, რომელიც განაგებს, ანხორციელებს დროს და ენერგიის ფლანგვას და ამასთანავე, უშორეს ეფექტს, როგორც მისი სისუსტის მაჩვენებელს.

ბიოლოგიური განვითარების პროცესი ორგვარი, ორი მიმართულების არის. საშვალებანიც, რომლებიც განახორციელებენ ამ პროცესებს აგრეთვე ორგვარია და თვითეულ პროცეს შეეფერება თვითეული საშვალება, რომე-

ს.-რევოლიუციონერები, რომლებიც ანარქი-
სტების და ს.-დემოკრატების წარმოშობილი
ჯორია ისე, როგორც ჩვენი ს.-ფედერალის-
ტები წარმოადგენენ ანარქიზმის და ს.-დემო-
კრატიის მიერ წარმოშობილ ქართულ პოლი-
ტიკურ ჯორს, რაც შესაძლებელია პოლი-
ტიკურის და ანტიპოლიტიკურის ორი სხვა და
სხვა სოციალური ჯიშის შეუღლებით აქ-
ტიურ სოციალისტება, ე. ი. ს.-ფ. და ს.-რე-
ვოლიუციონერებს თურმე იმით უნდათ მოი-
ხვეჭონ შემოქმედ სოციალისტის სახელი,
რომ „ეს კლასიური ბრძოლა **სავსებით სო-
ციალიზმის განხორციელებისაკენ იყოს მი-
მართული** და რომ სოციალისტურ წყ-წყო-
ბილებას **დღესვე საფუძველი ჩაეყაროს**“, ამ
საფუძველს დღესვე კი ეს აქტიური სოციალი-
სტები იმით უყრიან, რომ „მიწის სოციალი-
ზაციას ჰქადაგებენ“. ყვავს თავის ბახალა მოს-
წონდავო ეს არის თურმე ს. რ. და ს.-ფ-ბი
იმით არიან აქტიური, შემოქმედებით სოცია-
ლისტები, რომ ისინი დღეს **სოციალიზმის ნა-
წილს**, სოციალიზაციას-თხოულობენ, ქადაგე-
ბენ, მაშინ როდესაც ანარქისტები **მრთელ
სოციალიზმს** თხოულობენ. გამოდის, რომ
ისინი, **ვინც დღეს მხოლოდ სოციალიზმ-ს
უმცირეს ნაწილს** თხოულობს, არიან შემოქ-
მედებითი სოციალისტები და ისინი კი, ვინც
**სოციალიზმ მთლად** თხოულობს არ არიან
აქტიური, სოციალისტები. ცოტა არ იყოს ბავ-
შურია ამ გვარი მსჯელობა.

საოცარია, როდესაც ჭიანჭველას თავისი
თავი აქლემად მოაქვს იმით, რომ მას და ძმ:-
თა მისთა სურთ, რომ „სოციალისტურ წყს-
წყობილებას **დღესვე** საფუძველი უნდა ჩაეყა-
როს“ იმით, რომ სოციალიზაცია შეაქვთ თა-
ვიანთ პროგრამაში და სოციალიზაციაზე ქა-
დაგებენ **დღეს**, მაშინ როდესაც ანარქისტები
არ ყოფილა თურმე შემომქმედი სოციალისტე-
ბი, რადგან იმათაც დღესვე სოციალიზმი მრ-
თელად შეაქვთ თავიანთ პროგრამაში **დღესვე
და დღესვე** ქადაგობენ მაზე.

აწ მყოში, რასაკვირველია, უნდა იქადაგო
დაეცადო აასრულო ის, რაც გინდა მომავალში
განახორციელო, თორემ აწმყოში აწმყოის
დამყარება და ქადაგება მეტია; თუ მომავალი
სოციალიზმი ვისმეს უკეთესად მიაჩნია, მაშინ
ის დღესვე ქადაგობს, და იბრძვის მისთვის ასე
იქცევიან ანარქისტები და წინააღმდეგად კი
მხოლოდ ველურები, ბუშმენები იქცევიან,

ლიც დამყარებრლია თავის პროცესზე და
მასთან შეთანხმებული. 1)

ყოველივე მცენარის ძირები ფესვები იზრდე
ბიან უმცირესი დაბრკოლებისაკენ, ისინი სჭ-
რიან ნიადაგს იქ, სადაც ნიადაგი უფრო ლბი-
ლი, უფრო ნოყიერია, მთელი ადამიანის სხე-
ული წარმოადგენს განხორციელებას მოძრაო-
ბისს უმცირესი დაბრკოლებისაკენ. ძარღვები,
რომლეიითაც ადამიანის სისხლი მოძრაობს,
ნაღველი ლიმფატიური ჭურჭლები და სხვა
წარმოადგენენ არხებს ადამიანის სხეულში,
არხებს უმცირესი დაბრკოლებისა. თვით ადა-
მიანის სხეულის ჩონჩხი წარმოადგენს ბერკე-
ტებს, რომლებიც ანხორციელებენ მექანიურ
**პრინციპს** მოძრაობისას ნაკლები დაბრკოლე-
ბისაკენ.

გეოგრაფიული **განაწილება** ცოცხალ ორ-
განიზმებისა დედამიწაზე სწარმოებს აგრეთვე
უმცირესი დაბრკოლებისაკენ. გამრავლება რო-
მელიმე მცენარეთა ან ცხოველთა მოდგმის დე-
დამიწის რომელიმე კუთხეში წარმოადგენს
ზრდას იმ გეოგრაფიულ წრეში, რომელში-
დაც მოწინააღმდეგე, ხელის შემშლელი ძა-
ლები უმცირეს დაბრკოლებას წარმოადგენენ.

წინააღმდეგ შემთხვევაში, როდესაც მოძ-
რაობა უფრო და უფრო დიდი დაბრკოლების
წინააღმდეგ არის მიმართული, ჩვენ ვხედავთ,
რომ ის არხები რომლებიც ადამიანის სხეულ-
ში უმცირესი დაბრკოლების გზას და სისხლის
მოძრაობის არხებს წარმოადგენენ ფუჭდებიან
თანდათან და ბოლოს სულ უვარგისი ხდე-
ბიან; ის ნივთიერება, რომელიც უჯრედებს
შორის ისეთ როლს თამაშობს, როგორც კირი
ან ცემენტი ქვების და აგურების შორის, უფრო
და უფრო ჰკარგავენ პლასტიურ, მოძრავ ხა-
სიათს და ბოლოს მაგრდებიან ადამიანის სი-
ბერეში, რასაც სიკვდილი და ორგანიზმის დარ-
ღვევა მოჰყვება.

თუ გეოგრაფიული წრე, კუთხე დედამიწი-
სა, სადაც მოდგმა ან ჯიში სცხოვრობდა,
შეიცვალა ისე, რომ ის წარმოადგენს უდი-

1) რადგან ჩვენ განზრახული გვაქვს გამოვთქვათ ჩვენი სინტეტიური შეხედულობა მსოფლიოზე სისტემატიურად და ძლიერ დიდ სივრცეზე, ამიტომა მხოლოდ მოკლედ და რაც შეგვიძლია მარტივად გამოვთქვამთ სვენ აზრს.

რადგან ისინი მხოლოდ აწმყოით სცხოვრობენ და მომავალზე არ ფიქრობენ.

მაგრამ ჭიანჭველას მიერ აქლემის გადაყლაპვა იმოდენად არ არის გასაკვირველი, რამოდენად მიწის სოციალიზაცია და მასთან ერთად სხვა საწარმოვო იარაღების, ფაბრიკების ქარხნების და საერთოდ სამრეწველო, სავაჭრო თანხების კაპიტალიზაცია, ერთი სიტყვით სოციალიზაცია მიწის და კაპიტალიზაცია სხვა ყველა საწარმოვო იარაღებისა ერთად. სახელმწიფოებრივ ცხოვრების ფარგლებში—პირობებში—რომელ შიდაც უნდა მოხდეს სოციალიზაცია შეუძლებელია სოციალიზაცია იყოს სოციალისტური, რადგან სახემწიფო, როგორც იძულებითი ორგანიზაცია, როგორც კლასობრივი ბატონობის იარაღი, არ შეიძლება იმავე დროს იყოს რამოდენიმედ სოციალისტურიც ე. ი. არა კლასობრივი, რადგან მაშინ სახელმწიფო ნამდვილი ხორც შესხმული დიალექტიური არსება იქნება—ის ერთ და იმავე დროს იქნება კლასობრივიც და არა კლასობრივიც, ბატონობის იარაღიც და თავისუფლებისაც, ის შეიცავს მაშინ თავის თავის უარყოფას, ის იქნება ერთ და იმავე დროს აწმყოც და მომავალიც, ის რაც არ არის და ისიც რაც იქნება.

მსოფლიოში ისეთი არსება, მოვლენა არ არის, რომელიც თავის პროგრესიულ განვითარებაში მაქსიმუმისკენ არ მიისწრაფებოდეს; მინიმუმი კიგარეშე და ბრკოლებელი პირობების ნაყოფია, მაშასადამე ისეთი მოძრაობა, რომელიც თვით თავის ხელებით იხატავს მინიმუმს, არის თავის თავის რეაქციონერი, ის მოძრაობის დეგენერაციაა, მაშასადამე მიწის სოციალიზაციის საშვალებით სოციალისტური ელემენტის შეტანა ს.-ფ. და ს. რ. აქტიურს და შემოქმედს კი არ ხდის, არამედ უტოპიურს და რეაქციონურს, რადგან მიწის სოციალიზაცია მიუცილებლად გამოიწვევს სოციალიზაციას სხვა საწარმოვო იარაღებისა, სოციალიზმი სოფელში შეუძლებელია უსოციალიზმოთ ქალაქში და ან სოციალიზაცია მიწის ვერ განხორციელდება და ან თუ განხორციელდება მხოლოდ სახელმწიფოებრივი ფორმით.

რაც შეხება ფორმულას „ძალა განმანადგურებელი ამასთანავე ერთად არის ძალა აღმშენებელიო“ უნდა მოვახსენოთ, რომ ძალა, ე. ი. ის ადამიანები, რომლებიც შეგნებული არიან თავიანთ სოციალისტური მიზნის, რომელიც ეწინააღმდეგება არსებულ წესყობილე-

---

დეს დაბრკოლებას შედარებით პირველ თავის მდგომარეობასთან, როდესაც მასში მოდგმა იზრდებოდა და ვითარდებოდა, მაშინ ჯიში, მოდგმა ან გადასახლდება (migration) რაც წარმოადგენს ისევ იმ, მოძრაობას ნაკლები დაბრკოლებისაკენ, ან მოისპობა, თუ გადასახლება შეუძლებელია.

პსიხიური მოვლენებიც ამ გვარი ორი წესით სწარმოებენ, საკმაოა ვსთქვათ რომ ნება (ВОЛЯ) ისეთი პსიხიური მოვლენაა, რომელიც იწყებს დაცლას გარედ მოქმედების სახით, როგორც თოფის წამალი და ტყვია თოფის ლულიდგან. თუ ნერვების შემადგენლობა შევისწავლეთ დავინახავთ, რომ ნერვებს დიდი მსგავსება აქვთ ელექტრონის გადამცემ მავთულთან და თუ ამასთანავე სხვადასხვა ნივთიერების მავთულები, რომლებიც ერთი მეორეზე უკეთ გადასცემენ ელექტრონს, დავალაგეთ მათი ნიჭის ხარისხით ელექტრონის გადაცემაში, მაშინ ადამიანის ნერვებს, რომლებიც პსიხიურ მოძრაობას გადასცემენ, დაიჭერენ მაღალ ხარისხს, ე. ი. წარმოადგენენ პსიჰიურ მოძრაობის უმცირეს დაბრკოლების არხს.

წინააღმდეგი პროცესისთვის ჩვენ უნდა ვიკმაროთ ცოტა და ვსთქვათ, რომ სიგიჟე სხვა და სხვა გვარი, იდიოტობა, სიძლუნგე და სხვა უარყოფითი პსიჰიური მდგომარეობა შედეგია ისეთი გარემოების, რომელიც სისტემატიურად ან უცებ ერთბაშად დიდი ძალით უკან ჩააბრუნებს პსიჰიურ მოძრაობას.

ამ გვარად ჩვენ ვხედავთ, რომ ბიოლოგიური (პსიხოლოგია ჩვენთვის ბიოლოგიის დარგია) მოვლენების განვითარების ორი პროცესი, ორი წესი აქვს. ერთი ამ პროცესთაგანი მოძრაობა ნაკლები, უმცირეს დაბრკოლებისაკენ ისეთი პროცესია, რომელიც სასარგებლოა ამ პროცესში მყოფ მოვლენისათვის, მეორე პროცესი კი საზიანო მასში მყოფისათვის.

ბუნებრივი შერჩევა არის ის საშვალება, რომელიც განახორციელებს ბიოლოგიურ პროცესს, წესს მოძრაობისას და მოქმედებისას უმცირესი დაბრკოლებისაკენ.

თანახმა დარვინის, ჰეკელის და მრავალი სხვა დარვინისტებისა ბიოლოგიური პროცესი უმცირესი დაბრკოლებისაკენ განვითარებისა სწარმოებს ბუნებრივი შერჩევის საშვალებით.

რა ხასიათისაა ეს საშვალება? ბუნებრივი

გას, რომლის დანგრევა საჭიროა მომავლის წარმოსაშობათ, დარწმუნებული არიან აგრეთვე, რომ ყოველივე შემდეგი წინმდეგის ხარჯზე იზრდება და მაშასადამე ხარჯი, დანგრევა მოწინავე მდგომარეობის მოასწავებს შემოსავალს, ზრდას შემდგომი მდგომარეობისა, რომელიც წინანდელისაგან გამომდინარეობს.

ქიანჭველა გახვეულა აქლემის ქურქში და თავი აქლემი ჰგონია, ამ გვარ თავის მოტყუებაში ის ცდილობს გააგებინოს წვრილ ხალხს, რომ ის მათ ვერ ხედავს სოციალისტებათ, მას არც ერთი პარტია თავის მეტი თვალში არ უარდება თავისი სოციალისტობით. მისი აზრით სოციალ-დემოკრატები მეტაფიზიკოსები არიან, ის სოცალდემოკრატები, რომელიც რეალურ პოლიტიკას ოპორტიუნისტულ ტაკტიკას, ლოღიკურ და ფილოსოფიურ ოპორტიუნიზმს—დიალექტიკას—ემსახურებიან. ის ეუბნება სოციალ-დემოკრატებს რომ ისინი მეტაფიზიკები არიან, რად გან „საწარმოვო ძალთა განვითარება“ წმინდა წყლის მეტაფიზიკა არისო“. მახლას, რწყილთა და ქიანჭველათა ომთან თაგვთა და ბაყაყების ომს! რწყილი მოგეხსენებათ ნახტომებით დადის ქიანჭველა კი მიცოცავს—ის-

შერჩევა დახასიათებულია უმთავრესად [1]) პირდაპირ მოქმედებით, ეკონომიით დროის და ენერგიისა, თავის დაცვის, ბრძოლის ნიჭის ზრდით, გაუმჯობესება ინდივიდუმისა (особ) და მაშასადამე მისი მოძრაობა უმცირესი დაბრკოლებისაკენ—პირდაპირი ნაყოფი—ადაპტაცია, შეგუება, შეზელა უკეთესთა მიერ დროის მოქმა (surirvance).

(შემდეგი იქნება.)

[1]) ცებულებას წინდაწინვე იმმტომ ვსვამთ, რომ ადვილი გასაგები დარჩეს შემდეგი.

ტორიის პროცესი კი მარქსიზმის აზრით დიალექტიურია, როგორც რწყილის ნახტომი, ს.-ფედერალისტის ქიანჭველის აზრით კი ისტორია კუს ნაბიჯით მიდის, რადგან „ყოველივე ეს კი ხანგრძლივს შემოქმედების მუშაობას თხოულობს“, ე. ი. ქიანჭველასავით დაცოცავს, მაგრამ ერთი რამ დაავიწყდა პატივცემულ ქიანჭველას ის, რომ **ერთი წამი ძალით მოქმედებისა** ისტორიაში ღირს **მთელ საუკუნოებათ** მშვიდობიანი ევოლიუციისა, არ ეს მით ეს არც სოციალ-დემოკრატიზმის მიერ ჩვენ უკუდო და გონებრივ ფიზიონომია დასახიჩრებულ ანარქისტებს ერთი მხრით და ს.-ფედერალისტურ და ავტონომისტურ ბაცილებით მოშხამულ ანარქისტებს, **ანარქისტებს პროგრამა მინიმუმით**, რაც ძლიერ ჰკავს სანთლის რკინას.

(შემდეგი იქნება.)

## უკბილოთა კბენანი *)
## და
## უგუნურთა მსჯელობანი.

როდესაც სახელმწიფოს თავისი ანტისოციალური ხასიათის განვითარების შედეგათ ეწვევა ქვეშევრდომთა უნდობლობა და შემდეგ ცხადათ გამოთქმული უკმაყოფილება, მაშინ გამძლავრდება კანონ-მდებლობა და გამრავლდებიან კანონმდებლები, რეპრესიები, რეაქციონური აქტიორები და ყველა ამას მოჰყვება მისი გახრწნა.

როდესაც ოჯახის წევრებს შორის თავს იჩენს უთანხმოება, მისი საფუძვლები იწყებენ რყევას და ჩავარდებიან სიღამპლეში, მაშინ „ოჯახის ბურჯნი“ მოუშვებენ მძლავრად დაჭიმულ სადავეებს და შეითვისებენ ოპორტიუნისტულ ზნეობას, გარეგან პატიოსნებას რომელიც ძლივს ჰფარავს შინაგან გარყვნილებას და იდუმალ პროსტიტუციას, „ოჯახის ერთიანობის“ დემაგოგიური სახელით.

როდესაც საზოგადოებას დაეკარგება სრულიად ნდობა წარსულის, მაგრამ, მიუხედავათ ამისა, გამოურკვეველი დგას მომავალი საზოგადოებრივი ცხოვრების ხასიათის წინაშე, ამ დროს ის სცხოვრობს ისეთი პოლიტიკური

†) ეს წერილი კარგა ხანია დაწერილია, მაგრამ ორგანოს უქონლობისა გამო დაბეჭვდა არ ეღირსა.

და სოციალური ჭირით დასნეულებული, ისეთი ხასიათის საზოგადოებრივი ცხოვრებით, რომელიც სრულიად მოკლებულია ხასიათს, რომელიც ნამდვილ სოციალურ უხასიათობას — დემოკრატიას — წარმოადგენს, წარმოადგენს სოციალურ ჭირს, რომელსაც უთვალავი საზოგადოებრივი ჭირის ექიმბაშები, მარჩიელნი და პოლიტიკური ექიმები — შარლატნები გამოუჩნდებიან.

როდესაც რომელიმე ქვეყანას ეწვევა ხოლერა, ჟამი, მაშინ მცხოვრებთა რიცხვი გაჩანაგდება, გაჩანაგდება ქვეყანა ძალით, სიმდიდრით, ზნეობით და ჩავარდება ყოველგვარ გაჭირვებაში — დაეცემა, დაქვეითდება.

როდესაც რომელიმე სოციალური ჯგუფი, პარტია ხანგრძლივი მოღვაწეობის შემდეგ გამოდგება ისტორიულად უნაყოფო, მაშინ პარტია თავის მობრძავი სულის შესარჩენად აღარ არჩევს არავითარ საშვალებას არც ოპორტიუნისტურს, არც იეზუიტურს და გაჩანაგებული იდეიურად, პოლიტიკურად და ზნეობრივად, პარტია წარმოშობს თავის მწირე და გაჩანაგებულ პოლიტიკო-სოციალური საშოიდგან გონებრივ და პოლიტიკო სოციალურ ხოლერისაგან გაჩანაგებულ დემაგოგებს დემაგოგიური იდეოლოგიით, რომელიც წარმოადგენს ნამდვილი პოლიტიკო-სოციალური პროსტიტუციის თეორიას, იდეოლოგები კი ამ თეორიის ურცხვ მებაირაღტრებს, რომლებიც რეალურად თავის გუნებაში ემსახურებიან თავის თავს, თავის ქვენა ინტერესებს და სიტყვიერად — ტრიბუნაზე, წვერ-მოტეხილი კალმით — პრესსაში გუნდრუკს უკმევენ და გონებას უბნელებენ ისედაც დაბეჩავებულ და დაბნელებულ მასსას.

ამ გვარია დაახლოვებით სოციალ-დემოკრატიის ხასიათი ჩვენში და საზღვარ-გარეთ. ის არ კმარობს პოლიტიკურ დემაგოგიას და ერთგულად ავრცელებს არა თუ მარქსიზმს ამ ნამდვილ დემ-გოგიურ „მეცნიერებას,“ არამედ ხმარობს სპეციალურ დემაგოგიურ, გაბედულ (рискованный) ხრიკებს თავის იდეების პროპაგანდაში, რომელიც შესდგება იმაში, რომ იხელთოს მოხსენებული დრო, რომელიც საშვალებას მისცემს გაავრცელოს თავის მოწინააღმდეგის წინააღმდეგ ცრუ აზრები, ან სწეროს ურცხვად (нахально) ისეთი რამე, რომლითაც უნდა დაუმტკიცოს თავის მსგავსს უვიცებს, რომ ჩვენი მოწინააღმდეგები ისეთ რამეს გვაწერენ, რაც მართლა რომ სულელურია, მაგრამ ჩვენ არ გვეკუთვნის და სიბრაზით ან უსინდ სობით მოგვაწერენო.

რადგან ჩემთვის გამოურკვეველია, მექნება თუ არა შეძლება დაუცადო „ახალი დროების“ ფურცლებზე მოვარდნილ სისულელის ნიაღვრის ჩამოწრეტას, ამიტომ საჭიროდ მიმაჩნია ვიკისრო ზოგი მარქსიზმის და ზოგი მისი მებაირაღტრეების მეტად კონსერვატიული უვიცობის და მათი თავის თავზე გადაჭარბებული აზრების დარღვევა იმ რიგით, რა რიგითაც მას მიაწვდენენ აზროვნების ბაზარს.

მარქსმა იკისრა დიალექტიკური ჭურჭლის, ამ ლოღიკური დანაიოსის ბოჭკის გამსება მატერიალისტური შინაარსით, რაც გასაკვირველი არ არის გერმანელი მეტაფიზიკოსისაგან, მაგრამ ძლიერ საკვირველია, როდესაც ჩვენი პამპულები შეჰყურებენ მას, რომ გერმანელი მეტაფიზიკის აქლემნი იჩოქებენ, ჰეგელის სიბრძნის ჭასთან, იტვირთებიან და ემგზავრებიან ბრანდენბურგის უდაბნოს ასამსებათ და აღტაცებულები ამ დიადი სურათით ჩვენი პამპულები აღაპყრობენ თავიანთ უსუსურ ხელებს რათა თავიანთ კუზიან ღმერთებს შეარჩინონ ზურგზე უზარმაზარი მეტაფიზიკური ტვირთი. ერთი ამ კუზიან ღმერთების მმოსავთაგანი ბრძანდება მარქსისტული მეტაფიზიკის პაწაწკუნა და პაწაწკინტელა „ზაპიატაია,„ ვაჟბატონი კუ თუ კო..., რომელიც იმ გაზეთში, რომელიც სპეციალურად მუშებისთვის პირველად დაარსდა დიალექტიკურ აბდა-უბდას გადმოლაგებას შეუდგა და ამ გვარად გვაიძულებს ჩვენც ამ მბდა-უბდაზე ლაპარაკს. მაგრამ ეს კიდევ არაფერი. აი სწორედ იმ აბდაუბდის გამორკვევას, რომელიც ენგელსმა, მარქსმა, პლეხანოვმა და სხვებმა ვერ მოახერხეს თავიანთ დიდრონ წიგნებში „ფილ. სილ.,“ „კაპიტალ“-ში, „ანტი-დიურინგში,“ „ლიუდვიგ ფეიერბახ-“ში და სხვებში, პაწაწკუნტელა კო...-მ მოახერხა ყოველ-კვირეული გაზეთის ფელეტონის ოთხ კოლონაზე.

ვაჟბატონი კო..., მედიდური გულის პატრონი სვამს კითხვას „რა არის დიალექტიური მეტოდი?“ და მედიდურივე უვიცობით თავგასული უპასუხებს: „ცხოვრება დაუდგრომელ ზრდა-განვითარებაშია“... „ის მუდმივ მოძრაობასა და ნგრევა-შენებაშია. ამიტომ (თუ ტავტოლოგია ამიტომ მათ იქმნა მიღებული, რასაკვირველია. ავტ. შენ.) არის, რომ ცხოვრებაში მუდამ არსებობს ახალი და ძველი, მოზარდი და მომაკვდავი,, *) რევოლიუცია და კონტრ-რევოლიუცია.“

*) კურსივი ავტორისაა.

ჩვენ თავგასიებულ ფილოსოფოსს (?) უნ. და, რომ ახსნას არსებობა ახალის და ძველის, ზრდის და სიკვდილის, რევოლიუციის და კონტრ-რევოლიუციის. და ამბობს, რადგან ცხოვრება ზრდა-განვითარებაშია, ამიტომ ზრდა არსებობს, რადგან ის ნგრევა-შენებაშია ამიტომ არსებობს კონტრ-რევოლიუცია, რადგან მოძრაობა არსებობს, ამიტომ მოძრაობა არსებობს—ახალი და ძველი.

აგრეთვე მოყვანილი სიტყვებიდგან ცხადათ ჩანა, რომ დიალექტიკა თვით ცხოვრებაში ხორციელდება, ბუნებაში არსებობს, მისით ყველაფერი მოცულია, ის ყველაფერს მსჭვალავს ის პროცესსიც არის და მეთოდიც, ლოღიკაც და ემპირიკაც, დედუქციაც და ინდუქციაც, ის ამბობს, „ცხოვრება სწორედ ისე უნდა განვიხილოდ, როგორც ის სინამდვილეში არსებობს *) თუ ენგელს ჰკითხეთ ის გეტყვით, რომ არა თუ დიალექტიკა ცხოვრების პროცესსია არამედ „წინაამდეგ ამისა: მას შემდეგ რაც მან (მარქსმა ავტ. შენ.) ისტორიულად დაამტკიცა, რომ ეს პროცესსი რამოდენიმედ უკვე შესრულდა და რამოდენიმედ კიდევ უნდა შესრულდეს, ამის შემდგომ (გამოდის რომ დიალექტიკა საყივარი, დამატებითი რამ ყოფილა ავტ. შენ.) ის კიდე ახასიათებს მას, როგორც პროცესს, რომელიც სწარმოებს მიღებულ დიალექტიურ კანონის თანახმად.“ *) მაშასადამე ყოფილა ორი მეტოდი: ერთი ისტორიული, უმთავრესი და მეორე სხვათა შორის—დიალექტიური.

კაუტსკის რომ ჰკითხოთ, ის პი გეტყვით, არამედ შეგყვირებსთ, წამოვა თქვენზე ალლაჰ, ალლაჰის ძახილით და გასწევს ნარას:

„რაღა დარჩება მარქსიზმიდგან, თუ გადააგდეთ, დიალექტიკა, რომელიც „მისი შრომის საუკეთესო იარაღი“ იყო?“ ამ შემთხვევაში კაუტსკი მახის და ავენარიუსის მიმდევარი გამოდის (рабочая идя гипотеза, какъ средство интеллектуальной экономіи). ენგელსი დიალექტიკას მესამეთავად ტკბილეულად სახავს. ჩვენი თავგასიებული ფილოსოფოსი კი ყველაფრათ. სხვა ადგილას იგივე ენგელსი დიალექტიკას ძირითად და მნიშვნელოვან კანონათ აღიარებს. თუ ჩვენი ჭეშმარიტი აზრი ალთად და ბალთად გაიხსენეთ, მაშინ თქვენი დიალექტიკური აბდაუბდის ამ გვარი როშვაც უნდა მოგეხსენებიათ.

„ამ გვარია, განაგრძობს თავდიდა ფილოსოფოსი(?) „ახ. დრ“. რედაქციის კათედრიდგან, ცხოვრების განხილვა (?) მის დაუდგრომელ მოძრაობასა დანგრევა-შენობაში—ასეთია დიალექტიური მეტოდის პირველი დასკვნა.“ საოცარი დასკვნაა უნდა მოგახსენოთ ბატონო კო...! საიდგან მიიღეთ ეს დასკვნა? იქნება უკანასკნელი პარტეიტაგიდგან მიიღეთ ფოშტით, მაგრამ იქაც კამათის შემდეგ გამოიტანდენ და გამოგიგზავნიდნენ. ყოველი თეორინა შესდგება წინადადებისაგან და დასკვნისაგან, რომელიც წინადადებისაგან, ნაგარაკუდებისაგან უნდა გამომდინარეობდეს ან, ვრცლად რომ ვსთქვათ, სრული მსჯელობა შესდგება თეორემისაგან და მისი კორროლარიისაგან, ყოველი სილლოგიზმი შესდგება მთავარ წინადადებათგან და მათი დასკვნისაგან თქვენ კი ღმერთმა შეგეწიოთ თქვენ გმირულ ცდაში, არც აიღეთ, არც დაიღეთ და უცებ ციდგან დედამიწაზე ტყაპანი მოაღებინეთ თქვენ დასკვნას(?).

ჯერ სვამთ კითხვას, რა არის დიალექტიკაო, შემდეგ იქვე პასუხის დასაწყისშივე ამბობთ, რომ „ცხოვრება დაუდგრომელ ზრდაგანვითარებაშია“, ნგრევა-„შენებაშიო“ და დაასკვნით, რომ დიალექტიკური მეთოდის პირველი დასკვნა შესდგება ცხოვრების განხილვაში თავის დაუდგრომელი მოძრაობაში და ნგრევა-შენობაში. ეგ ხომ თავშიც ბრძანეთ და თუ ბოლოშიც ესევე გაიმეორეთ მაშინ საბრალო ლოღიკა რაღა შუაშია, ეგ უფრო მღვდლის და მისი ძაღლის არაკს ემსგავსება. განაგრძეთ, განაგრძეთ თქვენი მეცნიერული მოღვაწეობა თქვენ ნაცნობებში და თანა მოაზრებში, იქნებ თქვენ იმათ გამოუღლაყოთ თავი და შემდგომ იმათმა თქვენ გიზღოთ მსგავსივე სამსახური რითაც ჩვენ დიდი მადლობელი გაგიხდებით, რადგან ვხედავთ, როგორ ახლოვდება ისეთი დრო, როდესაც ჩვენ საშვალება გვექნება მიკროსკოპით შევისწავლოთ თქვენი და თქვენი ამხანაგების უკანასკნელი იშვიათი პალეონტოლოგიური ნაშთები. А все же жалко созерцать какъ мертвые силятся воскреснуть и „бывшіе люди“ интернаціонала превращаются въ живыя окаменелости и дѣлаются достояніемъ историческаго прошлаго!

ყველასთვის ცხადია. რომ მხოლოდ მოძრაობა, რომელიც დასახულია დიალექტიურ პროცესსათ არ არის საკმაო და თვით დიალექტიური მეთოდის მომხრეთათვისაც ცხადია ეს. ამიტომ ისინი ცდილობენ ამ თავის მეტაფიზიკურ ხომალდს დიმონი და ბუსოლი გაუკეთონ. ამასვე მეცადინეობს ვაჟბატონი კო...ის ამბობს: „ის რაც ცხოვრებაში იბადე-

**) ანტიდ. 137 გვ. ამ ციტატაში კურსივი ჩვენ.

ბა და დღითი დღე იზრდება-უძლეველია *), მისი წინმსვლელობის შეჩერება შეუძლებელია. ე. ი. თუ, მაგალითად, პროლეტარიატი იბადება, როგორც კლასი და დღითი დღე იზრდება,— რაც უნდა სუსტი და მცირე რიცხოვანი იყვეს ის ბოლოს მაინც გაიმარჯვებს, რატომ? იმიტომ, რომ ის იზრდება, მატულობს და წინ მიდის“.

„სამაგიეროდ, ის, რაც ცხოვრებაში ბერდება და სამარისაკენ მიექანება,—აუცილებლად უნდა დამარცხდეს, თუნდაც რომ ის დღეს ბუმბერაზ ძალას წარმოადგენდეს“. ესე იგი, ის რაც უძლეველია (იზრდება, კო...-ს სიტყვით) —უძლეველია, ის რაც იზრდება, ე. ი. მძლავრობს, წინ მიდის ის უძლეველია და წინ მიდის—მისი შეჩერება შეუძლებელია. აი ამ გვარია დიალექტიური მეთოდით ახსნა, რომელიც თავის უმწვერვალეს განვითარებაში მიაღწევს თავის თავის უარის ყოფას: „პროლეტარიატი... დღითი დღე იზრდება,—რაც უნდა... **მცირე რიცხოვანი იყვეს ის დღეს, ბოლოს მაინც გაიმარჯვებს** *) ე. ი. მიუხედავად იმისა რომ დიალექტიკის მიხედვით ყოველ მომენტს თავისი განსაკუთრებული კანონი აქვს, შესაძლებელი ყოფილა ამავე დიალექტიკის საშვალებით დღეის ვითარება და კანონი გავავრცელოთ და გადავიტანოთ ბოლომდი და ვთქვათ დოგმატიურად და ფატალისტურად, რომ თუ დღეს რამე მოვლენა იზრდება, მაშასადამე მე ხვალაც და შემდეგაც ზრდაში და წინსვლაში იქმნებაო, თუ ბავშვი დაიბადა და იზარდა ერთ დღეს, ერთ კვირეს, ერთ თვეს, გინდ ერთ წელიწადს, მაშასადამე მისი შემდეგი და შემდეგი ზრდა და წინსვლა აუცილებელი იქმნება, ის უთუოდ სიმწიფესაც მიაღწევსო. განაგრძეთ ამ გვარი ლოგომახიებით და გალიმატიებით კვება დამშეულებისა და დაჩაგრულებისა, უქადაგეთ პროლეტარიატს აბსოლიუტური ობიექტივიზმი და სოციალური მაჰმადიანობა, იქნება აიგოთ ისტორიული ძეგლი ჩაგრულთა დაძინების მოღვაწეობის ნიშნათ, დააძინეთ ასაჯანყებლათ მომართულნი ისე, როგორც მაჰმადიანურმა სარწმუნოებამ და ფატალიზმმა დააძინა მისი მორწმუნენი. ჩვენი სოციალური მაჰმადიანი განაგრძობს: „აი აქედგან წარმოდგა (ცნობილი დიალექტიური თქმულება: ყოველივე ის, რაც ნამდვილად არსებობს, ე. ი. ყოველივე, რაც დღითი დღე იზრდება—გონიერია; ხოლო ყოველივე ის რაც დღითი დღე იშლება უგონოა და მაშასადამე დამარცხებას ვერ ასცდება“ „ასეთია, დასძენს ფილოსოფიის ჭურჭელი კო..., დიალექტიური მეთოდის მეორე დასკვნა“.

თუ ყოველივე ის, რაც რეალურია, ე. ი. დღითი დღე იზრდება—გონიერია მაშასადამე ანარქიზმი გონიერი ყოფილა, რადგან ის დღითი დღე იზრდება და თქვენი ლათაიებით ანარქიზმის წინააღმდეგ თქვენს თავს ეწინააღმდეგებით; ხოლო თუ ყოველივე, ის, რაც დღითი დღე იშლება—უგონოა მაშინ სოციალ-დემოკრატია უგნურთა პარტია ყოფილა, რადგან ის დღითი დღე სუსტდება და თქვენი აბდაუბდით სოციალ-დემოკრატიის სასარგებლოთ თქვენს თავსვე ეწინააღმდეგებით.

(შემდეგი იქნება.)

*) კურსივი ჩვენია.

*) კურსივი ჩვენია,

---

# განცხადება

**22** ივლისიდან ქალ. თბილისში გამოდის

ყოველ—კვირეული ქართული სამეცნიერო—ლიტერატურულ-კრიტიკული და საზოგადოებრივ—ეკონომიური გაზეთი

## „ქარიშხალი“

მიღება ხელის მოწერა მხოლოდ პროვინციებიდან, გაზეთი ეღირება წლიურათ 3 მან. ნახევარი წლით — 1 მ. 50 კ. სამი თვით 80 კაპ. ცალკე ნომერი თბილისში ღირს **ერთი შაური**, პროვინციაში — 6 **კაპ**,

გაზეთის რედაქცია და კანტორა ყოველ-დღე ღიაა. დილით 10—2 ს. და საღამობით — 5—7 ს. კვირა-უქმე დღე 10—12 ს.

ადრესი: Тифлисъ: Семеновская ул. №4 типографя „Надежда“ редактору газеты „Каришхали“.

რედაქტორ-გამომცემელი **ივ. ებრალიძე.**

სტამბა „ნადეჟდა“ კ. თავართქილაძისა. სემენოვის ქ. № 4.